

ხასიათი. ამ გმირების ერთი ნაწილი ცხოვრობს ერევანში, იტანჯება და ელოდება. ისინი თამაშობენ როგორც ნამდვილი სომეხი ქალები. თავისუფლად აზროვნებენ და ხმამაღლა საუბრობენ საკუთარ პრობლემებზე, უყვართ თავისი ქალაქი, ყავაზე მკითხაობენ. ამ გაღერების ყველაზე ფერადოვანი სახეა პენელოპე, რომელიც გამოირჩევა თავისი მდგრადობით, ამოუწურავი მოთმინებითა და ძლიერი ნებისყოფით. ერთ-ერთი სახე ტროას გმირებიდან არის - ოდისევსის ცოლი, ქალის ხატება, რომელიც შემორჩა ისტორიას. გმირი, რომლის ცხოვრების უდიდესი ნაწილი გავიდა ლოდინში. პენელოპე, გვიყვება ქალის პატარა საიდუმლოებებს - ერთმანეთში გადახლართული ტყუილებით და გონებამახვილობით.

თავისი გამოცდილებითაა ცნობილი ბომა ფრიდა. სახე, რომელიც იწყველება, სვამს ტეკილას, ფიზიკურ ტკივილს იტანს, ნანატრი სხეული არსებობს მხოლოდ სურათზე, მის აუსრულებელ ოცნებასთან ერთად ცეკვავდეს. სიხარული და ოცნებები, სურათები...ეს ყველაფერია, რაც მას აქვს.

სისტემატურად ბეჭდვადი ლიტერატურულ-სახელოვნებო ჟურნალის „დრამატურგია“ მეშვეობით ახალგაზრდა დრამატურგებს საშუალება აქვთ თავისუფლად გამოთქვან საკუთარი აზრები, აიმაღლონ ხმა უსამართლობის წინააღმდეგ, იმუშაონ ცნობილ დრამატურგებთან, რათა მიაგნონ საკუთარ წარმოსახვას. ჟურნალში წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის პიესები, რაც ხელს უწყობს პიესების პოპულარიზაციას და შემდგომ მათ აღიარებას, საშუალებას აძლევს რეჟისორებს დადგენენ არჩევანის წინაშე. პიესების გამოქვეყნების პროცესი მარტივია, ისინი რეგულარულად ქვეყნდება და ელოდება დადგმას, ელოდება მეორედ დაბადებას და სიკვდილს ისევ და ისევ სცენაზე. ეს პიესები კი თანდათანობით ბერდებათ და ჩამორჩებიან ცხოვრების რიტმს, მაგრამ თეატრი არ ელოდება, ხანდახან ჩერდება, მოიხედავს უკან და ახალი ძალით მიიწევს წინ. თეატრი თავისი ყველა კომპონენტით, სიცოცხლით და სიკვდილით რჩება მარადიულად.

კარინე ხოლიკიანი

პენელოპე

ერთ მოქმედებად

ინგლისურიდან თარგმნა მაკო ყანჩელაჩვილმა

სცენის სიღრმეში მოჩანს დიდი ეკრანი.

მარჯვენა მხარეს დგას სავარძელი.

სცენაზე ბნელა.

პენელოპე: *(შემოდის გაცხარებული პენელოპე და თან მოჰყვება შუქის სხივისადა არის? მომიყვანეთ აქ! ვინ არის ის კახა? სასწრაფოთ მომგვარეთ, ფეხებთან! მინდა მისი გაფითრებული სახე დავინახო, შიშისგანდაჭყეტილი თვალები! მომგვარეთ, მანახეთ ის მოღალატე კახა!*

სიყვა “მოღალატის” წარმოთქმისას ეკრანზე გამაჩნდება პენელოპეს სიბრაზისგან დამანჭული სახე.

პენელოპე: *(რამდენიმე წამით გაშეშდება ზუსტად ისე როგორც ეკრანზე ჩანს, მოგვიანებით გამოცოცხლდება და აკვირდება თავის გამოსახულებას. ტრიალდება მაყურებლისკენ, ახლა ის სხვა - ამაყი და კლასიკური პენელოპაა. მიმართავს ეკრანს)* ამ სცენას სასიამოვნოს ნამდვილად ვერ დაარქმევთ, მაგრამ ჩემი გულწრფელი სიბრაზე ამართლებს ამ „დამანჭულ“ სახეს. *(ოდნავ იხრება, უყურებს ეკრანს)* ერთმა ჩემმა მოახლემ ყოყლოჩინა საქმროებს მოახსენა, რომ ბოლო სამი წელია თავგზას ვუბნევ მათ, ყველას ვატყუებ, რომ მართალია დღე ვქსოვს ჩემი მამათილისთვის სუდარას, ღამით კი სანთლის შუქზე ვარღვევ. დიახ, სამი წლის განმავლობაშიშუღელი საქმროები ვერ ხვდებოდნენ ჩემსხრიკებს და უეცრად, ამ კახპამ თვალეზი აუხილა...ისინი პასუხსითხოვდნენ ჩემგან. გამოვვარდი საწოლი ოთახიდან და ... *(შეშდება)*

პენელოპეს შუქი ანათებს. ეკრანზე პენელოპე გამოჩნდება.

პენელოპე ეკრანზე: უმადური ძაღლისთვის მიმიცია თავშესაფარი, ჩემს საჭმელს ჭამდე, ფეხებს მიბანდა, და ჩემს საიდუმლოს უცხოელეზუეყიდა? ახლა გესმის ჩემი? იჩქარე! ჩქარა მოძებნე და მომიყვანე!

სცენა ბნელდება. მარჯვენა კუთხე ნათდება.

პენელოპე: *(მდიდრულად ჩაცმული მედიდურად ზის სამეფო ტახტზე).* ვერ იპოვეს ის მოღალატე კახპა. ყველაფერი სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს მისი პოვნა. *(პაუზა, ორაზროვნად იღიმება)* თუმცა, გამიკვირდებოდა რომ ეპოვნათ. რადგან, სწორედ მე დავარიგე ჩემი უერთგულესი მსახური რა უნდა ეთქვა საქმროებისთვის, სულელებს ეჭვი არ შეპარვიათ რომ მსახურის სახითა და ხმით მე ველაპარაკებოდი მათ.

მე, პენელოპე, ოდისევსის ცოლი*(ყურადღებით იყურება მარჯვნივ თითქოს რაღაც მოესმა)* დიახ, მისი ცოლი... *(იყურება მარცხენა მხარეს, თითქოს იქედანაც რაღაც მოესმა).* ქვრივი? *(იყურება მარჯვნივ)* ცოლი... ერთი წლის განმავლობაში... *(იყურება მარცხნივ)* ქვრივი ოცი წელი? *(იყურება მარცხნივ და მარჯვნივ)* ცოლი თუ ქვრივი? უფრო რომელია? *(ხელის გულებით „წონის“)* ერთწლიანი ცოლი თუ ოცწლიანი ქვრივი.*(მალა წევს მარჯვენა ხელს)* ის ჩემი ერთი წლის სიყვარულია, ჩემი პირველი მამაკაცი, მისი ნაყოფი ჩემი ვაჟია*(მალა სწევს მარცხენა ხელს)* ოცი წელი, ლოდინი... და კიდევ ბევრი რამ...*(კვლავ წონის. უეცრად ხელებს უღონოდ ჩამოყრის. პაუზა. მტკიცედ)მე, მენელოპე, ოდისევსის ცოლი, დიახ, ცოლი; მხოლოდ ცოლი!*

ერთ დღეს მისი არყოფნის ოცი წლის თავზე, შესაძლოა დღეს, მე მოვკალი ჩემი მოლოდინი. ჩემი ნამდვილი მე დავანახე საქმროებს, როდესაც მათ თვალწინ დავგლიჯე სუდარა და პირველად ჩავხედე თვალეზში ჩემს სახლში შეკრებილებს.მერე, ჩავიკეტე საძინებელ ოთახში და ველოდებოდი როდის გამოჩნდებოდა ოდისევსი. რა მოხდებოდა როცა მოვიდოდა, წარმოდგენა არ მქონდა.

(დგება და სცენის მარცხენა მხარეს მიემართება, სადაც სინათლეში ნახევრად დარღვეული სუდარა მოჩანს. აგრძელებს მის რღვევას.) ტროას ომი უკვე ათი წელია დამთავრდა, ჩვენი ომი კი კიდევ ათი წელი გაგრძელდა, იმიტომ რომ მენელაოსის ცოლისა და პარისის საყვარლის - ელენესაგან განსხვავებით, მე პენელოპე ვარ, ოდისევსის ცოლი... *(მოულოდნელად წყვეტს თხრობას და გამოდის სცენის ცენტრში, უყურებს მაყურებელს და ცდილობს მასთან კონტაქტის დამყარებას, ხმას იცვლის, უშუალო ტონით)* ზედმეტად პათეტიკურია... არ მეთანხმებით? ჰო, ... - კარგი, როგორც დღეს ამბობთ ხოლმე, - ინფორმაციის ნაკლებობა იყო, ეს კი ყოველთვის ხელს უშლის

ურთიერთგაგებას.*(კვლევად)მაგრამ... (თითქოს უჭირს ამ ტონის შენარჩუნება. ილიმის)*ამისთვის მხოლოდ ცოტაოდენი ინფორმაციაა საჭირო.

(სწრაფად) მაშ ასე, ტროას ომის შემდეგ, - რომელიც სულელი ელენეს გამო გაჩაღდა - გადარჩენილებიშინ დაბრუნდნენ. მეომრები... ყველა, მეფე აგამემნონიც კი. დიახ, დიახ, აგამემნონიც კი რომელიც შინ პარისის ხარჭა ელენესთან ერთად დაბრუნდა, ყველანი სახლებში დაბრუნდნენ, მაგრამ არა ოდისევსი.ჰომეროსმა,საუკუნეების წინ,“ოდისეაში” პოეტისათვის ჩვეული ხრიკებით დაგვარწმუნა, რომ ოდისევსს არ შეეძლო შინ დაბრუნება ვინაიდან ღმერთები განურისხდნენ.

დიახ, მართლაც!ათი წელი ბერძენ ღმერთებს სხვა არაფერი ადარდებდათ თუ არა ოდისევსისათვის მახეების დაგება და ითაკაში დასაბრუნებლად ხელის შეშლისა. ჰომეროსიდან სხვა რამეს რომ მოველოდეთ, ნამდვილისიბრიყვე იქნებოდა. პოეტი და მისი გმირი ერთ ყალიბზე არიან მოჭრილები. როგორც ბებიაჩემი იტყოდა “ძალი ძალის ტყავს არ დახევსო”. გაინტერესებთ ჩემი აზრი?... ახლავე გეტყვიოთ,რატომ ვერ ბრუნდებოდა ჩემი საყვარელი ქმარი შინ. თავიდან დავიწყებ: დავიწყეთ ღმერთები! სანამ ადამიანები დედამიწაზე ცხოვრობენ,ღმერთებს მათზე ძალა არა აქვთ. *(ტონი ეცვლება.აიხედავს ძალა. შერბილებულიხმით)*თითქმისარა აქვთ...

ეკრანზე ჩნდება ოდისევსის სურათი, ან რომელიმე ბერძენის გმირის სახე, ან კანჩალოვსკის „ოდისევსის“ გმირი ან კიდევ, სპეციალურად ამორჩეული ფიგურები შესაბამისი ნიღბებით.

პენელოპე: *(არ უყურებს ეკრანს. ხელებით)* ის გმირია, გმირი! ის ომმა კი არ აქცია გმირად, არამედ გმირად დაიბადა. ამას მაშინვე მივხვდი, როცა პირველად თვარი მოვკარი, *(თითქოს მაყურებელსპასუხობს)* რას იტყვი ჩემს პირველ შემოხედვაზე? თექვსმეტი წლის ვიყავი. ჩემსსხეულსქალად გახდომის სურვილი წვადა, ხოლო გონება ღირსეულ კაცს ეძებდა. თუ თექვსმეტი წლის ასაკში, სხეულმა და გონებამ იცის რა უნდა, დანარჩენი თქვენი თქმისა არ იყოს ტექნიკური საკითხია. ჩემს დროში, კი ვამბობდით - „ღმერთებმა ინებეს ასე“. ერთი სიტყვით, ღმერთების რჩეულთათვის ტექნიკური ნაწილი მოგვარებული იყო. აქამდე, არ ვიცი ვინ ვინ დაიპყო? მე დავიპყარი ის თუ მან დამიპყრო მე? სიყვარულის მორევში გიჟებით გადავეშვით, თითქოს ვიცოდით ამ ერთ წელიწადში დაგროვილი ვნება ოცი წელი უნდა გაგვყოლოდა...ოცი წელი!

ეკრანზე ეროტიკული ფოტოებიჩნდება

პენელოპე: *(ემოციებს მიმიკითა და შესტიკულაციით გამოხატავს. ძლივს ძალავს ირონიას თავისი სასიამოვნო მოგონებებისადმი. პროექცია ჩერდება, ეკრანს აშტერდება. უცებ გონს მოეგება)* დაპყრობას მოსდევს დანებება. ჩემი განცხადება ერთნაირად ეხებაჯარებს და საყვარლებს, ბუნებრივიაეს უკანასკნელნი უფრო მაინტერესებს.*(რამდენიმე წამით ჩმდება, რათა ხაზი გაუსვასთავის თავის სიტყვებს)*დაპყრიბილი ქალი, სიამოვნებით - ასე ვთქვათ, თვითშეწირვის სურვილით - ნებდება თავის ქმარს. „ბუნებრივია“ იტყვით დარბაზში მსხდომი კაცები და ქალები. მას შემდეგ რაც კაცი ქალს დაიპყრობს, მისი დანებება ქალისადმი ქვეყნის ლალატის ტოლფასია... “ბუნებრივია” იტყვიან კაცები... მხოლოდ კაცები.

ჩემი ოდისევსი გმირი იყო და გმირისათვის სამშობლოს ლალატი... *(დამცინავი ღიმილით)*სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჩემმა გმირმა მიეღო ამ საშინელ ომში მიწვევა. კარგი... ის-ის იყო შინაური ცხოველი უნდა გამხდარიყო, სასურველი ნებისმიერი ქალისთვის... ახლადაბადებული ჩვილი...

სახლი... ქონება... ძროხები... ცხვრები... ყველი...ღვინო... ჯოჯოხეთი... და სად არის გმირი? წყეული!

მე, ღირსეულად შევხვდი მის გადაწყვეტილებას გამხდარიყო გმირი... ღამით...ღამით ვნების ცეცხლი ვიწვოდი, დღისით მის ნაომარ ხელებზე ჩემი შვილის რძის სუნით გაჟღენთილ ტანსაცმელს ვაფარებდი, რათა შინ დაბრუნების სურვილი გამეღვიძებინა. მიმიხვდა განზრახვას და წასვლის წინ მითხრა „თუ არ დავბრუნდები იზრუნე მამაჩემზე, დეადაჩემზე და როცა ჩემი ვაჟი გაიზრდება, შეგიძლია ამოირჩიო მამაკაცი და იცხოვრო ჩემს სახლში“. ის არ აპირებდა სიკვდილს ბრძოლის ველზე, ორივემ ვიცოდით ეს... *(ორაზროვანი ღიმილი)*ღმერთებმა ასე გადაწყვიტეს! რას ნიშნავდა მის სიტყვები? ეს იყო ჩემი გამოცდა და მისი სიმამაცე!ამ სიტყვებით მან მითხრა “ყველა ქალს შეუძლია სიყვარული, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად. შენ რას ფიქრობ პენელოპე? შეგიძლია ლოდინი? ყველა ქალს არ შეუძლია ეს. დაელოდები გმირს, თუ თავს მის ცოლად მიიჩნევ?”

არაფერი ვუპასუხე. თვალეზში ჩავხედე. არ ვიცი რამდენი ხანი ვუყურებდით ერთმანეთს თვალეზში. მაგრამ ორივე მივხვდით რომ ჩვენს ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. იმ წამიდანმისი დაბრუნების მოლოდინში ყოველი დღე უფრო და უფრო იწელებოდა. ახლა შეგიძლიათ შეადაროთ ერთმანეთს ტროას ომი და ჩვენი პირადი ომი.

(ნელა მოისხა ოქროსფერბალთიანი შავი მოსახხამი) ათმა წელმა ადვილად გაიარა; ზუსტად ისე როგორც ათ წელს შეეძლო გასვლა.ომი იყო, ყველა კაცი ბრძოლის ველზე შვრებოდა, მე კი სხვა ქალების მსგავსად ვზრდიდიჩემს ვაჟს, ვზრუნავდი ოდისევეს მამაზე და დედაზე, ვუვლიდი მის ქონებას და სიმდიდრეს; ამაყად დავდიოდი ითაკას ქუჩებში... იმიტომ რომ მე ვიყავი გმირი ოდისევეს ცოლი.

ომი დამთავრდა; ცოცხლები უკან დაბრუნდნენ, ოდისევეს კი არა. მხოლოდ მე ვიცოდი, რომ ის ჯერ არ დაბრუნდებოდა.ისიც ზუსტად ვიცოდი როდის დაბრუნდებოდა... ათ წელიწადში... იმდენივე წელიწადში, რამდენიც ტროას ომი გაგრძელდა. მე გავაგრძელე ჩემი ვაჟის აღზრდა, ვზრუნავდი მის მშობლებზე, ვუვლიდი მის ქონებას, ვინარჩუნებდი მის ღირსებას, თუმცა ვცდილობდი სულ უფრო იშვიათად გამოვსულიყავი ითაკას ქუჩებში...ბოლოს კიჩემს ოთახში გამოვიკეთე. ქვრივები თავს მწუხარებით ირთობდნენ, ვისაც ქმრები დაუბრუნა - სიხარულით აგრძელებდნენ ცხოვრებას, მე კი არც ერთი მერგო და არც მეორე.

(იატაკიდან წიგნს იღებს, გამოდის სცენის ცენტრში) სწორად გამიგეთ; კიდევ ერთი პატარა ინფორმაცია, *(გადახედავს წიგნს)*აჰა, ვიპოვე... შედეგი ჩემი მეუღლის აქ არ ყოფნისა. მარტოხელა ქვრივი... რუსულად კარგად ჟღერს: „სოლომენნაია ვდოვა“. სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე ამ სიტყვისსომხური ექვივალენტი. ამიტომ მე მას ვთარგმნი როგორც „ჩალასავით გამოუმხარი ქვრივი“. *(მხრებს იხეჩავს და წიგნს კულისებისკენ ისვრის, შემდეგ მიდის და მოაქვს ჩალის ქუდი იქედან სადაც წიგნი გადაადგო და დებს)*.რადაცნაირად ვამართლებდი ამ აბსურდულ სახელს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია, ის რომ ითაკაში, და შესაძლოა მთელ საბერძნეთშიც, მე ვიყავი ერთადერთი ვინც ამ სტატუსით ატარებდა ამ ქუდს.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, ამბავი მოვიდა ჩემი საყვარელიმეუღლისაგან - ცირცეს მკერდში დაეღო ბინა. *(მოულოდნელად ირონიული ღიმილი ისტერიულ ხარხარში გადადის)*. ჰომეროსი ამბობს, რომ ცირცემ ჯადოსნური სასმელითგააბრუა ოდისევესი და ტვინიაურია.ოდისევეს ტვინი აურია?... ოდისევესი თავად ურევდა ტვინს სხვას. წყაროზე ისე ჩაიყვანდა კაცს, წყალს არ დააღვეინებდა... ბებერო სულელო! ვის უწოდებ შენ თავგზაარეულს?*(აღელდება, თითქოს უნდა*

ანგარიში გაუსწოროს ქუდს. მაგრამ იღებს და დარღვეულ სუდარასთან დებს. მზიდად) მან ერთი წელი იმ ბებერი კახას მკერდში გაანიავა, რომელსაც სასტიკად ეშინოდა სიბერის. თუმცა ვიცოდი, ეს ვნება დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მეამა როცა მათი დაშორების ამბავი გავიგე, ოდისევსი შინ გამოვიშურა. იგი მოდის. (ისტერიულად დადის წრეზე) მოდის, ბრუნდება, იგი ბრუნდებააა... (უცრად ჩერდება, მწარე ღიმილით) მოვიდა, მოვიდა... და ახლა კალიფსოს საწოლშია.

ცირცესგან განსხვავებით კალიფსო ჩემზე ახალგაზრდა და ლამაზი იყო... როდესაც გავიგე ეს ამბავი, ოთახში ჩევიკეტე და შიშველი დიდხანს ვიდექი სარკის წინ. (თითქოს სარკის წინ დგას) ქალის სხეული ცამეტი წელია ელოდება; ცამეტი წელია დედის ხელები ზრდიან მის შვილს მამის გარეშე; ქალის თავლები ჩამტერებია ცამეტი წლის ჯაჭვს. ცამეტი წელი ხელუხლებელი ტუჩები... (სარკეს ფეხებთან დააგდებს და დაამსხვრევს) ჩემზე ლამაზია... მაღალი და გამხდარი... ერთობა ოდისევსის სიცოცხლით სავსე სხეულით... (ჩერდება, ღრმად ამოისუნთქავს) როდესაც სარკე დავამსხვრეე მეგონა გულიც გამისკდებოდა და ყველაფერი დასრულდებოდა... როგორც ჩანს ჯანმრთელი გულიმქონია. დედამისისგულმა კიამდენი ვერ აიტანდა... არა, გული არ გასკდომია; ჯანმრთელობით მე არ ჩამომივარდებოდა; უბრალოდ, როგორც დედამთილებს ჩვევიათ ხშირად მადარებდა იმ კახას... და ჩემს თავს ერჩია... ერთ დღესაც ადგა და ზღვაში გადაეშვა. რა თქმა უნდა პატივით დავერძალე, მაგრამ ერთი ცრემლი არ გადმომვარდნია. როგორც ნებისმიერი სხვა დედა იგი დარწმუნებული იყო რომ მისი ვაჟი უკეთეს ქალს იმსახურებდა, ამიტომაც მოუღო ბოლო თავის სიცოცხლეს. (უცრად შურისძიების სურვილის გრძნობით) შენ ამას იმსახურებ! შენ არ ენდე ჩემს ქალურ ძალას. (ბრუნდება უკან, გონს მოეგება, თუმცა ისევ გაბრაზებულია) დედამთილის წასვლით, ერთი ავი თვალთ მაცქერალი მომაკლდა, მაგრამ ეს წვეთი იყო ზღვაში. საერთოდ, როდესაც კაცი უცხოეთში დაეხეტება, საზოგადოება მის ცოლსადანაშაულებს ამაში, ტროას ომის დასრულების შემდეგ ხალხი მეც დამნაშავესავით მიყურებდა... ყველა ფეხებზე მეკიდა, ყველა... გარდა ერთისა...

ევრანზე ტელემაქეს ფოტო გამოჩნდება

პენელოპე: (სურათს შეათვალიერებს) გოგო რომ მყოლოდა ჩემს მეგობრად გავზრდიდი. გაუზიარებდი ჩემს ტკივილებს და ჩემს მოკავშირედ ვაქცევდი. (სიყვარულით, ამაყად) ტელემაქე, ჩემო ვაჟი. სანამ ათი წელი შეუსრულდებოდა, ანუ ომის დასასრულისთვის, ჩემი დამცველი და მეგობარი იყო... შემდეგ ჩვენგაუუცხოვდი თერთმანეთს. მზერა დაეჭვებული გაუხდა... „რა გააკეთე ისეთი რომ მამაჩემი შინ აღარ ბრუნდება?“ რა უნდა აუხსნა ყმაწვილს, რომელსაც ჯერ სახე არ შეღინდლია?

უხმოდ ვიტანდი მის ეჭვებს და დაფარულ აზრებს. სახლში და გარეთ მხოლოდ ბრძანებებს გავცემდი, დუმილი გახდა ჩემი პასუხი ყველა კითხვაზე. და უცებ ყველასათვის ჯადოქრად ვიქცევი... ჩემი საქციელის ახსნას არავისთვის ვაპირებდი... არ დაგავიწყდეთ მე პენელოპევარ, ოდისევსის ცოლი. თავდაპირველად ჩემი მამამთილი კეთილი იყო ჩემს მიმართ. თუმცა მოგვიანებით მანაც ზურგი მაქცია... ისიც მე მადანაშაულებდა. მე რომ ნამდვილი ქალი ვყოფილიყავი, ოდისევსი ჩემს მკერდში იქნებოდა თავჩარგული. ერთხელაც, ჩემმა მამამთილმა სევდიანად გაიღიმა. კარგად იცნობდა თავის ვაჟს... ისიც მასავით ვნებიანი იყო ახალგაზრდობაში.

ამგვარად, მას შემდეგ რაც დედამთილმა თავი დაიხრჩო, ვაჟი გამიუცხოვდა, მამამთილმა ზურგი მაქცია და ქალაქმა აღმაცერად დამიწყო ყურება - ოდისევსი კი უკვე ოთხი წელი კალიფსოს

საწოლში ნებივროდა - გადავწყვიტე გავთხოვილიყავი. ამასობაში ტელემაქეს სახეზე წვერიცწამოზრდოდა.

ექვი არ მეპარებოდა, რომ ხელის მთხოვნელები გამოჩნდებოდნენ, მაგრამ ჩემს ნახევრად სერიოზულ განცხადებაზე ასეთ ინტერესს არ მოველოდი. ოცდათხუთმეტი წლის „ჩალასავით გამხმარი ქვრივის“ საქმროები ელადის საუკეთესო მამაკაცები აღმოჩნდნენ 18 წლიდან 30 წლამდე. მშვენიერი გზაა საკუთარი თავის შესაფასებლად, არა?

ეკრანზე საქმროების ღრეობა მოჩანს.

პენელოპე: შეხედეთ მათ; ერთი მეორეზე ახალგაზრდები, მშვენიერები, ძლიერები, მამაკაცურებიდა თამამები არიან. რატომ? იმიტომ რომ ყველას უნდა გახედეს ოდისევსის ცოლის ქმარი. *(იცინს)* იმიტომაც ტურებივით შემოესივნენ სასახლეს და ელოდებოდნენ ჩემს ხმას; მეც ველოდებოდი, ველოდებოდი ოდისევსის ხმას. არა, ისეთი გულუბრყვილო არ ვიყავი რომ მეფიქრა, ოდისევსი თავკუდმოგლეჯილი გამოიქცევა შინისაკენ, როცა ჩემი გათხოვების ამბავს გაიგებს თქო. მიუხედავად ყველაფრისა კარგად მიცნობდა და მიხვდა, რომ დუმილიდან მოქმედებაზე გადავედი.

ოდისევსის ხმამ არ დააგვიანა. ამბავი მოვიდა ითაკაში კალიფსოსაც სურდაჩემს ქმარზე დაქორწინება *(თავითვის)* ჩემს ქმარზე... არც ისე ცუდად ჟღერს... *(იღიმის)* და ვმშვიდდები; ეს ამბავი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: ოდისევსი ბოლოს დაბოლოს შინ დაბრუნდებოდა... ერთ დღესაც, მაგრამ ჩემი საქმროები, რომელთაც თავიანთი მისია შეასრულეს და ახლა უსარგებლონი იყვნენ, ჩემს ოთახთან ბუხებივით ირეოდნენ და წასვლას არ აპირებდნენ.

ოჰ, დამავიწყდა მეთქვა, როდესაც ჩემმა მამამთილმა გაიგო რომ გათხოვებას ვაპირებდი, სახლიდან წავიდა და არასოდეს დაბრუნებულა, მეცხვარეებთან წავიდა მთაში... კარგია, სუფთა ჰაერი და ახალი რძე საარგებლოა მის ასაკის კაცისთვის. ამბავმა, რომელმაც შვილი გაამხიარულა, მამა გაანაწყენა. როგორც ჩანს ყველაფერი კარგად გავთვალე.

ცხვრებს დავუბრუნდეთ, უკაცრავად, საქმროები ვიგულისხმე. ოდესღაც ისინი კრძალვით, პატივითა და ვნებით მოადგნენ ჩემი სახლის კარს... მაგრამ ძალიან ძალე, მიხვდნენ რომ პენელოპე გადაწყვეტილების მიღებას არ იჩქარებდა. მიხვდნენ და შეტევაზე გადავიდნენ... მათ ეგონათ რომ მხოლოდ თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, არც მე ვიჯექი ამაოდ. სუფრა გავუშალე, დავათვრე, მოვხიბლე და მშვენიერი, ძლევამოსილი ახალგაზრდები მუქთახორა ხარებად, მცონარე მამლებად გადავაქციე. რატომ მოვიქეცი ასე? იმიტომ, რომ როცა დრო მოვიდოდა, ოდიდევეს ადვილად შემლბოდა მათი განადგურება. სასტიკი ვარ? სულაც არა! მათ ხომ ჩემთნა სარეცლის გაზიარება მოისურვეს, ჩემთან, ოდისევსის ცოლთან! ერთხელაც სახლის ტალანში ყური მოგვარი ქირქილს „ჩვიდმეტი წლის ხელუხლებელ ქალს განსაკუთრებული გემო აქვს...“ მეორემ მიუგო, „შენამდე ოდისევსის შუბს ინახავდა ის ქალი“... და მათი საუბარი უტიფარ ქირქილში გაილია... კიდევ უფრო ამაყად დავიარებოდი... ყველა ქალს არ ძალუძს ქმრის მამაკაცურობითიამაყოს... მით უმეტეს, თუ უკვე 17 წელი გავიდა.

ბოლოს, ერთ დღეს, ნადიმსა და ნადიმს შორის, საქმროებმა მთხოვეს პატივი დამედო მათთვის და ამერჩია ერთ-ერთი მათგანი, თორემ... ექვი არ მეპარებოდა, რამეს მოიმოქმედებდნენ. არც ის უნდა დამვიწყებოდა რომ ჩემი ვაჟი უკვე ცხელსისხლიანი ყმაწვილი გახლდათ. და აი, პირობაც

წამოვაცენე... მშვენივრად იცით რაც: სუდარას ვგულისხმობ, შინიდან გაქცეული მამამთილისთვის რომ ვქსოვდი.

იძულებულნი იყვნენ ჩემს პირობას დათანხმებოდნენ, თუმცა იცოდნენ ეს დიდი დროს წაიღებდა დანადიმების შემდეგ ჩემს მსახურებთან დაიწეს გართობა. გოგონებთან რა თქმა უნდა. ბუნებრივია, ყველაფერი ჩემი მოწყობილი იყო. მე ვასწავლე მათ როგორ ადევნოთ და მოეხიზლათ ის თხსავით მამრები.

მე კი... როცა კიბის ზედა საფეხურიდან გადაწყვეტილების შესახებ ვამცნე, გულში გამარჯვებას ვზეიმობდი. იმიტომ რომ ჩემი ბრძენი გამომგონებელი გემირი, რომელმაც ტროას ცხენი მოიფიქრა, მაშინვე მიხვდათუ რა ცბიერმა აზრმა შთამაგონა სუდარა მექსოვა და დამერღვია, მექსოვა და დამერღვია... მას შემდეგ ჩვენ გვაერთიანებდა არა მხოლოდ ვნება, არამედ აზროვნების ძალა; *(დემოსტრაციულად იხუტებს გულში ოდისევს. პაუზის შემდეგ თითქოს დარცხვენითაა მშრალი ტონით)*

დასასრულამდე ჯერ კიდევ დრო იყო... მე სუდარას ვქსოვდი და ვარღვევდი, ჩემს საქმროებს კი ორგია ჰქონდათ გამართული ჩემს თვალწინ, ჩემი ვაჟი კი მამის საძებნელად სახლიდან წავიდა... მისი საქციელი არ გამკვირვებია, ველოდი კიდევ; ეგონა დედამისმა ჭკუა დაკარგა, მდიდრულ წვეულებებს მართავდა და ნაგვიანები ავხორცობის დაკმაყოფილებას ცდილობდა. მაშ, რა უნდა ექნა ჩემს საბრალო ვაჟს? რა თქმა უნდა, მამა უნდა მოეძებნა. მამა, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა თავისი წასვლით და მტრად ექცა.

დიახ, ჩემს საბრალო ვაჟს ორივე ვმუდდით - დედაც და მამაც, იმიტომ რომ მან არაფერი იცოდა, არაფერის მენოდა ჩვენი საკუთარი ომის შესახებ. მე ყველაფერი გავაკეთე რომ ტელემაქეს სახლი დაეტოვებინა *(თითქოს მაყურებელს პასუხობს)* რატომ? იმიტომ რომ საბრალო ყმაწვილი მხოლოდ საკუთარი თავის იმედად მყოფ კაცად ქცეულიყო. მინდოდა მამაც ეპოვა და ბინძური ნავსადგურებიც მოეწყო. მერე რა თუ უკან ხელცარიელი დაბრუნდებოდა? განა ასე ადვილია ოდისევსის პოვნა? მაშინაც კი თუ საკუთარი ვაჟი ეძებს? შინ დაბრუნებულ ოდისევსს მორცხვი ბიჭი კი არა, საკუთარი ორეული, მისი მომავალი დახვდებოდა.

გულახდილად გეტყვით, ოდისევსისთვის რომ შემეტყობინებინამეტს ვეღარ დაგელოდებითქო, არ გამოიქცეუდა და გულში არ ჩამიკრავდა. თუმცა მე მას ცხრამეტი წელი ველოდი. მეოცე წელს კი როცა ლოდინის დრო ამოიწურა, ჩემს საქმროებს მოახლეების პირით ვამცნე ჩემი გადაწყვეტილება სუდარის შესახებ. ვგრძნობდი, ოდისევსი მალე მოადგებოდა სახლის კარს. უბედურებაა, როცა კაცი და ქალი ამხელა მანძილზე გრძნობს ერთმანეთს. ჩვენს შემთხვევაში ამას ოცდაათი საქმროს დაღუპვა მოყვებოდა.

ნება მომეცით გავაგრძელო... მაშ ასე, ოდისევსი შინბრუნდებოდა. მე, გადაწყვეტი ბრძლის მოლოდინში მის დასახვედრად ვემზადებოდი. ისიც გამოჩნდა... ჭუჭყიანი მათხოვრის მონძებში... მაწანწალა. მხოლოდ ორმა ვიცანით. ძაღლმა და მე. არგუსი, ერთგული ძაღლი მივიდა და მიულაქუცა. გახარებული ყნოსავდა მისი კაბის კალთას.

ახლა, თქვენ ელოდებით ჩემგან რომ ვიტყვი „მე როგორც ერთგული ცოლი...“ - მშვენიერია, გინდათ გითხრათ როგორ მოვიქეცი?

მისი მოსვლა მანამდე ვიგრძენი სანამ დავინახავდი. ვუბრძანე სასახლეში მოსული მათხოვარი ჩემს ოთახში შემოეყვანათ. - ითაკაში გამოჩენილ უცხოებს ყოველთვის ჩემთან ვიბარებდი, რათა ქმრის შესახებ რამე გამეგო. თავდაპირველად უარი შემომითვალა, მოგვიანებით კი თავისი პირობა წამომიყენა “მზის ჩასვლამდე დამელოდოს ქალბატონი, დარბაზში ვეახლები ცეცხლის პირას მჯდომი და რაც უნდა მკითხოს გმირი ოდისევსის შესახებ...” ეჭვგარეშეა ჩემი ცბიერი ოდისევსი იყო. “მზის ჩასვლამდე დამელოდოს...” ჩამავალი მზის შუქზე კარგად ვერ შევათვალიერებდი მათხოვრის სამოსში გადაცმულ ოდისევსს. „ცეცხლთან მჯდომარე...” ცეცხლის ალი მის სახეს დამიფარავდა.

ორი საათის ჩემმა მოახლე გოგოებმა კვლავ დაუბრუნეს ჩემს კანს ხავერდოვნება, თვალებს ცეცხლი და მკერდს სიმკვრივე... აბრეშუმსა და შალში გაეხვია ჩემი სურნელოვანი სხეული, ოქროს სარკებმა დაფარეს ჩემი ჭადრა, ხელებში ძალა წამერთვა და ვკანკალებდი. გამოვედი საძინებელი ოთახიდან და შევედი დარბაზში, ჩემს დანახვაზე ცეცხლთნ მჯდარი მათხოვარი წამოდგომას შეეცადა. არ დავანებე, ვაგრძნობინე პატივს ვცემდი მის მხრცოვანებას. ეშმაკურად გამიღიმა- თითქოს ვერ შევამჩნიე - მინდოდა ეფიქრა რომ ვერ ვიცანი.

ვერ ვიცანი? განა მათხოვრის სამოსს შეეძლო მის ძლიერი ხელების დაფარვა? განა შემეძლო არ დამენახამის თვალების ცბიერი გამოხედვა მიუხედავად იმისა რომ ჭუჭყი და არეული თმა უფარავდა სახეს? და მისი სუნი... არც წლებს და არც გზებს, ვერც ქალებმა ვერ ვერ წაეშალა იგი. ტახტზე მჯდომი ვუსვამდი შეკითხვებს, დარწმუნებული იყო გამაცურება, ჩემმა საყვარელმაქმარმა მოირგო თავისი როლი და დაიწყო ტყუილების მოყოლა. გულახდილად რომ ვთქვათ, ყურს არც კი ვუგდებდი. ცოტა ხნის შემდეგ, მოახლემ დიდი ჩირაღდანაიანთო. და დამინახა... მიყურებდა და არ ჯეროდა რომ 37 წლის ქალის ნაცვლად 17 წლის გოგოს ხედავდა. როგორც შემიძლია ამის ახსნა? თუ არ ცხოვრობ არც მოხუცდები. და ჩემი გმირი, რომელსაც ღმერთების მოტყუებაც კი შეეძლო, გაქვავებული და უძლური ააღფრთოვანებას ვერ ერეოდა. ამაოდ ცდილობდა დაემალა დაგვიანებული ვნება, რომელიც შიგნიდან წვავდა...

მოახლეს ვუბრძანე ზეთუნის ზეთითა და წყლით სავსე ჯამები მოეტანა. მიხვდა მისთვის ფეხების დაბანას ვაპირებდი, და შეეცადა თავი აერიდებინა, მეტიც ოთახიდან გაქცევაც დააპირა. სხვათ აშორის, ეპიკურ პოემაში, ნათქვამია რომ მკურნალმა დაბანა ფეხები... არ დაიჯეროთ! მე დავიჩოქე და დავუბანე ჭუჭყიანი ნაიარები ფეხები, სადაც ერთმანეთს შეზრდოდა ტროას მტვერი და კალიფსოს ნელსაცხებლები... ფენა-ფენა ვაცლიდი დამარცხებასა და ტრიუმფს და ვატყობდი ვნება თითებში ძალას მართმევდა. ნელ-ნელ ჩემი თითები სულ უფრო და უფრო მაღლა მიცოცავდა... არ ვუყურებდი; მხოლოდ მისიუკონტროლო სუნთქვა მესმოდა. მე დავიპყარი ის თუ მან დამიპყრო მე? მარმარილოს იატაკზე გავგორდით... ძონძები შემოვახიე, მან კი ოქრომკერდით ნაქარგი აბრეშუმი შემომამარცვა... ჭუჭყიან სახეს ვუკოცნიდი, ის კი სურნელოვან სხეულს მილოკავდა...

მჯეროდა იმ წუთას ღმერთები შურით იხოცებოდნენ, თანმთელი გულით ხარხარებდნენ. რა სანახაობაა?!... დაუმორჩილებელი პენელოპე მოხეტიალე მათხოვარსდანებდა, მაშინ როცა ოდისევსი მის მოღალატე ცოლთანწევს.

როცა გონს მოვედით, იატაკზე მიმოფანტულ ნაცარშივიწექით. ჯამში ჩასხმული წყალი ცეცხლს გადასხმოდა. ჩემი სხეულიც მასავით გამურულიყო. იმ წამსჩემი ცხოვრების ყველაზე საბედისწერო თამაშს ვთამაშობდი...

(თითქოსგონს მოეგო. მშრალიტონით) ესე იგი, ჩაწვიდით საქმის არსს. როგორც ყველა შეყვარებულ წყვილს ჩვენც გვექონდა ჩვენი საალერსო სიტყვები: უფ... ორგაზმის შემდეგ და მანამდე, როცა ის აზრზე მოდიოდა, ყურში ჩამჩურჩულებდა “ჩემო დამშეულო”, მე კი ვპასუხობდი “ჩემოოო მოწყურებულო”. კარგი, ახლა დანარჩენსაც გიამბობთ.

(იბრუნებს წინანდელ ტონს) ამგვარად, აჰ... ორგაზმის შემდეგ, მიმოფანტულ ნაცარში გვერდიგვერდ ვიწექით. თვალეზდახუჭულიც ვგრძნობდი, რომ ჩემმა გმირმა სრულიად დაკარგად თავი. მას კი ვერ გაეგო... ეს არის უნაკლოპენელოპე? სად გაქრა ლეგენდები, რომლებიც მის მორალზეყვებოდნენ? შეგიძლიათ ამ მაწანწალას ფიქრები წარმოიდგინოთ? ის ერთდროულად წევს საკუთარ ცოლთან და ამავე დროს მეძავთან, რომელიც პირველივე შემხვედრ მათხოვარს დანებდა... ბედნიერებისაგან წელში გავიმართე, გავიღმე და ძლივს გასაგონად ჩავჩურჩულე „ეს ის არ არის...“ გავჩუმდი. იგი დაჭრილი მხეცივით თრთოლავდა და ელოდა ჩემი სიტყვების დასასრულს...

თვალეზი გავახილე, მორცხვი მეძავივით ვიცინოდი. ფერწასული ოდისევსი ადგილზე გაშეშებულიყო. მისი გამოხედვა... ვერ ვპოულობ სიტყვებს ამის გადმოსაცემად... „ეს ის არ არის... მალე ნახავენ“ ჩავჩურჩულე ყურებში, მორცხვად მოვისხი მოსასხამი და გავიქეცი საძინებელში.

მთელი დღე არ გამოჩენილა. მან და ჩემმა ვაჟმა საქმროები გაჟლიტეს, როდესაც სახლი უცხოებისგან გაასუფავეს მოვიდა და დადგაჩემი საძინებელი ოთახის წინ. იმ დროს ოდისევსი იყო ძლევამოსილი გმირი, აბჯარასხმული, პენელოპეს ქმარი. იდგა კართან და იცდიდა. მე, როგორც ერთგული მეუღლე მივუახლოვდი მას, დავუჩოქე, დავუკოცნე ფეხები, რომლთაც უთვალავი გზა მოიარეს, ხელები, რომლებიც უამრავ ქალსეფერებოდნენ, ავდექი. ჩვენ ჩავაშტერდით ერთმანეთს თვალეზში, როგორც 20 წლის წინ. ის ვერასოდეს გაიგებს ვისთან იწვა პენელოპე წინა ღამეს. დედამიწაზე ერთადერთი ქალი ელოდა მეუღლეს 20 წელი. ის მიხვდა რომ ეჭვი შეეპარა გულში, მაგრამ ვერასოდეს გაბედავდა რამე ეკითხა ჩემთვის. ამის შემდეგ მან მიიღო ის რაც უნდოდა, ისტორიაში, უფრო მეტად კი ლიტერატურაში, ჩვენ ღირსეული ადგილი დავიკავეთ: ის იყო გმირი ოდისევსი, მე კი მისი ერთგული პენელოპე.

(მიდის სცენის სიღრმეში, შუა გზიდან ტრიალდება) თუ ვინმეს ეჭვი ეპარება რომ ეს პატარა შურისძიება არ ღირდა ოცწლიან ლოდინად, მაშ, ის საერთოდ არ იცნობს ქალის ბუნებას.

(ბრუნდებასუდარასთან, იღებს ჩალის ქუდს, იღიმის და აგრძელებს სუდარის ქსოვას)

დასასრული